სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის

2017 წლის საქმიანობის ანგარიში

სასწავლო ცენტრის მიზნებია:

- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში დაინტერესებული პირების გადამზადება;
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის განმარტება და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement დარეგისტრირებისა და მისი მოხმარების სწავლება;
- ინფორმირება სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე;
- დავების განხილვის მექანიზმების განმარტება, პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით და სხვ.

აღნიშნულის მიღწევა დაგეგმილია სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.

სასწავლო კურსები:

სასწავლო ცენტრის ძირითადი სასწავლო კურსის სახელწოდებაა - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი". ტრენინგის ხანგრძლივობაა - 40 სთ.

ტრენინგის დაწყებისთანავე, მსმენელებს ურიგდებათ სასწავლო და სხვა სახის მეთოდურ-პრაქტიკული გამოცემები, შესყიდვების პროცედურების გზამკვლევი და ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, სხვა სასარგებლო ლიტერატურა, ასევე საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას ბრენდირებული მეხსიერების ბარათები, მასზე ჩაწერილი ციფრული ინფორმაციით.

კურსის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სამუშაო დღის განმავლობაში ეწყობა ყავის შესვენებები.

სასწავლო კურსის წარმატებულად დასრულების შემდეგ მონაწილეებს ურიგდებათ სამი სხვადასხვა კატეგორიის („დამაკმაყოფილებელი“, „კარგი“, „წარმატებული“) სერთიფიკატები.

ტრენერები:

სასწავლო კურსს წარმართავდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასაქმებული პროფესიონალი პრაქტიკოსები და მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც შერჩეული არიან ცოდნის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

ჩვენი პარტნიორები და დონორები:

სასწავლო ცენტრი როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

ჩვენი პარტნიორები და დონორები 2017 წელს იყვნენ:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
- ქ. თბილისის მერია;
- მსოფლიო ბანკის (World Bank) სხვადასხვა პროექტები;
- USAID - ის პროგრამა G4G.

- USAID - ის პროგრამა HICD 2020.

- ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი (CEGSTAR);

- UNDP-ის პროექტი „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“.

2017 წლის ივნისში და დეკემბერში გაიმართა სპეციალიზებული ტრენინგები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სახელმწიფო შესყიდვების სფეროს წარმომადგენლებისათვის. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (CEGSTAR), ასევე UNDP-ის პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით შედეგიანად დასრულდა და ჯამში გადამზადდა აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო უწყებების 30-მდე წარმომადგენელი. ტრენინგების მთავარ თემას წარმოაგდენდა „საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს კანონში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - თანამედროვე მიდგომები და აქტუალური საკითხები“. მიღებული მაღალი შედეგების გათვალისწინებით, მუშაობა აღნიშნული მიმართულებით მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა ორი საკონსულტაციო შეხვედრა რეგიონებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიებში დასაქმებულ სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებთან, რომლებიც ემსახურებოდა სამომავლოდ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ შესყიდვებს.

ჩატარებული ტრენინგები და სემინარები:

2017 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგებისა (15) და სემინარების (3) 18 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მსმენელთა ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო უწყებების, 71 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები (იხ.სურ.1).



სურ. 1. ტრენინგებზე წარმოდგენილი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები.



ტრენინგის მიზნობრივი ჯგუფი	მსმენელები რაოდენობა	%
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	431	42%
სახელმწიფო უწყებები	506	52%
ქ. თბილისის მერია	27	2%
სემინარები გამგებლებთან და სახელმწიფო შესყიდვების წარმომადგენლებთან	38	4%
ჯამი	1002	100%

სურ. 2. გადამზადებულ მსმენელთა პროცენტული მაჩვენებელი, საჯარო სექტორების და სახეობების მიხედვით

ძირითად სასერტიფიკატო ტრენინგებში „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ წარმოდგენილი სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას, გამოიკვეთა შემდეგი სტატისტიკა: მსმენელებს შორის წარმოდგენილი იყო 610 ქალი და 354 მამაკაცი (სურ. 3).



სურ. 3. ტრენინგის მონაწილეთა გენდერული ნიშნით დაყოფის პროცენტული მაჩვენებელი

რაც შეეხება მსმენელთა ასაკობრივ კატეგორიებს (სურ. 4), ტრენინგში მონაწილეობა მიიღო:

- 35 წლამდე ასაკის 501 მსმენელმა;
- 50 წლამდე ასაკის 388 მსმენელმა;
- 65 წლამდე ასაკის 75 მსმენელმა.

შენიშვნა: გენდერული და ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას, გარდა ძირითადისა, არ არის გათვალისწინებული სხვა ტრენინგებისა და სემინარების მონაწილეთა რაოდენობა.



სურ. 4. ტრენინგის მონაწილეთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფის რაოდენობრივი მაჩვენებელი

სასწავლო კურსის დაგეგმვა:

2017 წელს, ძირითადი სასერტიფიკატო „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“-ს მსმენელები დაიყო 15 ნაკადად (თითოეულში დაახლოებით 76 მსმენელი), 4-4 ჯგუფად (20, 20, 20 და 16 მსმენელისგან დაკომპლეტებულ ჯგუფებად); დაიგეგმა სულ 964 (ცხრაასსამოცდაოთხი) სერტიფიცირებული მსმენელის მომზადება. ასევე, მოეწყო სამი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა (Workshop-ის ფორმატში) სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებისათვის (38 მონაწილე); ჯამში 1002 (ათას ორი) მსმენელი.

2014 წლიდან დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებული და სერტიფიცირებულია 2494 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი. მათ შორის: 1175 მსმენელი ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, 1264 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი, ხოლო 55 ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. ამ რიცხვში არ არის მითვლილი სემინარებსა და სხვა ტიპის საინფორმაციო-საკონსულტაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოწვეული მსმენელები; მათმა რაოდენობამ შეადგინა - სულ 358 მსმენელი. ჯამში, 2014 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე, სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადებულია 2852 მსმენელი.

მოცემულია 2014-2017 წლებში გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობის მზარდი დინამიკა (სურ. 5):



სურ. 5. 2014-2017 წლებში გადამზადებულ მსმენელთა რაოდენობის მზარდი დინამიკა

სახელმწიფო შესყიდვების კურსის თემატიკა

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი მიმოხილვა: სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- რელევანტური ნორმატიული აქტები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესი;
- სახელწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV კოდები);

- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან, შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტგამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;
- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და ალტერნატიული ტენდერი;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;

- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები;
- გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეთანხმება სააგენტოსთან;
- შესყიდვის ახალი საშუალებები.

სასწავლო ცენტრის ტრენერები

სახელმწიფო შესყიდვების კურსს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები (დეპარტამენტების, სამსახურებისა და სამმართველოების უფროსები) და სხვა კომპეტენტური ექსპერტები, რომელთაც შეთავსებული აქვთ ტრენერის ფუნქცია. ესენი არიან:

1. **ალექსანდრე ჩხიკვიშვილი** - ანალიტიკური სამსახურის ექსპერტ-ანალიტიკოსი;
2. **კონსტანტინე გუგეშაშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
3. **მაია კუხალეიშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის კონკურსების, გეგმებისა და გამარტივებული ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
4. **ია შავერდოვი** - იურიდიული დეპარტამენტის დავების განხილვის საბჭოს აპარატის (სამმართველოს) უფროსი;

5. **გივი გეგელაშვილი** - კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6. **გიორგი ლაცაბიძე** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
7. **გიორგი გოგიბერიძე** - მონიტორინგის დეპარტამენტის ტენდერების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
8. **ხვიჩა ბზიავა** - მონიტორინგის დეპარტამენტის ტენდერების მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
9. **თამარ გორდელაძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;
10. **ანა ჭანია** - ანალიტიკური სამსახურის უფროსი;
11. **ნოდარ ხერხეულიძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
12. **ირაკლი გოლეთიანი** - გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის უფროსი;
13. **ნინო კვაჭაძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამმართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
14. **გიორგი მეშვილდიშვილი** - იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
15. **გიორგი ჩუხუა** - ანალიტიკური სამსახურის საერთაშორისო კვლევების სპეციალისტი;
16. **მარიამ ბარბაქაძე** - იურიდიული დეპარტამენტის დავების განხილვის საბჭოს აპარატის (სამმართველოს) მთავარი სპეციალისტი;
17. **ნინო კოპალიანი** - მონიტორინგის დეპარტამენტის ტენდერების მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
18. **ოთარ არევაძე** - გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ზემოაღნიშნული განპირობებულ იქნა ორი მოსაზრების გათვალისწინებით: თითოეული ტრენერი ყოველდღიურად უშუალო შეხებაშია სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბება-განვითარების, სიახლეების იმპლემენტაციის, არსებული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის პროცესთან, რაც განაპირობებს მათ მაქსიმალურ

ინფორმირებულობასა და კომპეტენტურობას.

მსმენელების, იგივე შესყიდვების სფეროში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების უშუალო კონტაქტი ტრენერებთან (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პასუხისმგებელ პირებთან) უნდა გახდეს როგორც მათი კვალიფიკაციის დონის მატების, ისე, სამომავლოდ, უწყვეტი პროფესიული კონტაქტისა და კონსულტირების წინაპირობა.

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს IT-სპეციალისტების მიერ, საგანგებოდ სასწავლო ცენტრისათვის, შეიქმნა და პერმანენტულად ვითარდება პრე და პოსტ-ტესტირების უნიკალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ტრენინგის მსმენელთა ცოდნის დონე, როგორც სასწავლო კურსის დაწყების წინ, ისე ტრენინგის დასასრულს, სერტიფიკატების გაცემამდე.

ტრენინგის კურსის პირველ დღეს მსმენელებს უტარდებათ on-line პრეტესტირება, რითაც, განისაზღვრება მათი ცოდნის დონე, მოცემული დროისათვის.

პრე-ტესტი შედგება 50 კითხვისგან, რომელიც სპეციალური ალგორითმის მიხედვით შეირჩევა 200 კითხვის მონაცემთა ბაზიდან. თითოეულ კითხვას აქვს 3 სავარაუდო პასუხი, მათ შორის, ერთი სწორი პასუხი, რაც ფასდება 2 ქულით.

პოსტ-ტესტირება ტარდება კურსის დასრულებისთანავე, ასევე on-line, ანალოგიური შეფასების სისტემითა და კითხვების იგივე რაოდენობით, რაც პრე-ტესტში. საბოლოო შეფასებით განისაზღვრება მსმენელთა სერთიფიკატების კატეგორიები.

შეფასების 100-ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, დამტკიცებულია სერთიფიკატის სამი კატეგორია:

- „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ - 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
- „კარგად ჩააბარა ტესტირება“ – 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
- „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – 40%-დან 60%-მდე დაძლევის შემთხვევაში.



სერთიფიკატის კატეგორია	მსმენელების რაოდენობა
წარმატებით ჩააბარა ტესტირება	42
კარგად ჩააბარა ტესტირება	636
დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება	262
ვერ გადალახა ზღვარი	13
ტესტირებაზე არ გამოცხადდა	11

სურ. 6. 2017 წელს გაცემული სერტიფიკატების პროცენტული მაჩვენებლები კატეგორიების მიხედვით

შეფასების ზოგადი პროცესი

ტრენინგის ორგანიზაციული ნაწილის, სასწავლო პროგრამის, დამხმარე მასალებისა და ტრენერების მუშაობის შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- „ქოუჩერის“ ფრაგმენტული დასწრება ტრენინგზე, რის შემდეგაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება ტრენერთა ინდივიდუალური კონსულტირება;
- ინდივიდუალური აღრიცხვის ფურცლები (მსმენელებს ურიგდებათ ნაბეჭდი ფორმა);
- ინდივიდუალური გასაუბრება მსმენელებთან (სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციის სპეციალისტები თავად ატარებენ გამოკითხვას);
- ჯგუფური გასაუბრება მსმენელებთან (სააგენტოსა და სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია თავად ატარებს გამოკითხვას).

შეფასებისას, ასევე, გათვალისწინებულია ტრენინგის მონაწილეთა მიერ, ტრენინგის მსვლელობის დროს ნებისმიერი ფორმით გამოხატული შეფასება (სტიკერები, ფერადი ფურცლები, საკუთარი ხელით მომზადებული პოსტერები და სუვენირები და სხვ.).

დადგინდა ტრენერთა შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

- კომუნიკაციის უნარი;
- ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- თეორიის გასაგებ ენაზე პრეზენტირება;
- პრაქტიკული დავალებების - სიტუაციური სავარჯიშოების, პრობლემური სიტუაციის ანალიზისა და საქმიანი თამაშების, ჯგუფური და ინდივიდუალური სახით მუშაობის ორგანიზება;
- დისკუსიის წარმართვა;

- ტრენინგის ფაზების ადეკვატური წარმართვა;
- დამხმარე მედია საშუალებების გამოყენება.

შეფასებისას, ასევე, გათვალისწინებულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამდენად მეთოდურად მიჰყვებიან ტრენერები ტრენინგის სქემას:

- მისალმება;
- ტრენერის წარდგენა და მონაწილეთა გაცნობა;
- მონაწილეთა მოლოდინის გამოკითხვა;
- ტრენინგის კონცეფციის გაცნობა;
- დღის წესრიგის წარდგენა;
- მუშაობის წესების ჩამოყალიბება;
- თემატური რეზიუმირება;
- ყოველი სესიის ბოლოს მიზნის გახსენება და განვლილი მასალების შეჯამება;
- ყოველი სესიის დასაწყისში წინა სესიის მასალების გახსენება;
- ყოველი დღის ბოლოს შეჯამება.

სისტემატურად ტარდებოდა მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ფორმების ანალიზი; 2017 წელს სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 956 ერთეული. ანალიზის თანახმად:

#	კითხვა	პასუხი	რაოდენობა	პროცენტი
1	მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად, არის	ძალიან წარმატებული	451	47 %
		წარმატებული	499	52.2 %

#	კითხვა	პასუხი	რაოდენობა	პროცენტი
		წარუმატებელი	6	0.63 %
		სულ:	956 მსმენელი	
2	მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის	ხანგრძლივი	25	3 %
		ხანმოკლე	217	22.7 %
		ნორმალურია	714	74.69 %
		სულ:	956 მსმენელი	
3	მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისთვის ამ სახის ტრენინგი	არ არის საჭირო	7	1 %
		საჭიროა	364	38.08 %
		აუცილებელია	585	61.19 %
		სულ:	956 მსმენელი	
4	ჩემი აზრით, დამხმარე მასალები	კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია	672	70 %
		კვალიფიციურად არის შედგენილი, მაგრამ არ არის საკმარისი	266	27.82 %
		არაკვალიფიციურად არის შედგენილი	18	1.88 %

#	კითხვა	პასუხი	რაოდენობა	პროცენტი
		სულ:	956 მსმენელი	
5	ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის	ძალიან კარგი	804	84 %
		დამაკმაყოფილებელი	152	15.9 %
		არადამაკმაყოფილებელი	0	0 %
		სულ:	956 მსმენელი	

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია